

გაზეთის ფასი:

ხელის-მოწერა მიიღება:

გაზეთის ფასი:
 და გარეშე ადგილობრივად: — 7 მან.
 ქართის წლისა — 4 — 3 — 50 კ.
 სამის თვისა — 2 — 50 კ. — 2 —
 ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
 „დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

თულისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-შვილის და კამპ. სტამბაში; ხანის ქუჩაზედ, ბუბუთოვის სახ-ლში.
 თულისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ Тифлисъ. Въ контору редакциі грузинской газеты „ВРЕМЯ“.
 რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრჯის ასებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

შინაარსი: მთავრობის—განკარგულება.—
 შმაღლესი ბრძანება.—ქორრესპოდენცია მუთა-
 ისილგან. პოლიტიკა: ანგლია.—შვეიცარია.—
 ლექსები:—ლონი.—ცხენი და ვირი.—მისაღმი.
 —პატარა მშვენიერისაღმი.—შეღეტონი:—რუსის
 ცხოვრებლგან.—სახანონო განცხადება.—საბიბლიო-
 გრაფიო ცნობა.

მთავრობის განკარგულება.

უმაღლესი ბრძანება. წესი, თუ რო-
 გორ მიეცეს გლეხებს სახელმწიფო
 შემოსავლიანი ადგილ-მამულები
 (отрачные статьи). 62 მუხ. კანონკრებათ
 VIII ტ. ნაწ. 1, სახელმწიფო შემოსავლიანი
 ადგილ-მამულების დებულების ძალითა, სა-
 ხელმწიფო გლეხებს უფლება აქვთ რომელ-
 თამე შემთხვევებში სახანონო (არჩენათ)
 აიღონ სახელმწიფო შემოსავლიანი ადგილე-
 ბი კანონიერის სოფლის საზოგადოებათ გარ-
 დაწყებულობით, უფროათ, (ზალღვის შეუ-
 ტანელათ). რაკი სახელმწიფო გლეხებიც სა-
 ზოგადო უწყებაში შევიდნენ, სახელმწიფო ქო-
 ნების მინისტრმა დაინახა, რომ სასარგებ-
 ლო იქნებოდა ეს კანონი საზოგადოთ ყვე-

ლა გლეხებისთვის, და იმისთვის თავისი წინა
 დადება შეიტანა გლეხთა წოდების გამართვის
 უმთავრეს კომიტეტში. უმთავრეს კომიტეტს
 თავისი ჰაზრი გამოუთქვამს, რომ სახელმწი-
 ფო შემოსავლიანი ადგილების გლეხებისა-
 თვის მიცემაზე ეს შემდეგი წესი იყოს: 1) ქო-
 ველ წოდების გლეხებს, მთელის საზოგადო-
 ებით, თემობით ან მარტო თითოობით შეუ-
 ძლიათ შემოსავლიანი ადგილები აიღონ თა-
 ვინათ მამულებთან, ან 15 ვერსამდე არა უშო-
 რეს მდებარე. ამის ასაღებათ თავდებობა რი-
 განათ ქირის გადახდისათვის გირაო (ზა-
 ლღვი) არ უნდა. ეს ადგილები ქირით მიიცი-
 მა ექვსი წლითა; და ცალკე თითო კაცის თა-
 ვზე გლეხებს იმისთანა ადგილი მიეცემა, რომ
 ოცდა ათ თუმანზე მეტ შემოსავლს არ იძ-
 ლეოდეს. ამ ადგილების აღებისათვის გირა-
 ოს მაგიერათ გლეხთა საზოგადოებამ თავისი
 გარდაწყვეტილება უნდა წარუდგინოს; ცალ-
 კე თითო გლეხმა კი თავისთვის ადგილის
 აღებისათვის თავის სოფლის საზოგადოების
 გლეხების თავდებობა უნდა წარადგინოს, ქვე-
 მოხსენებულ წესისებრ. შემოსავლიანი ადგი-
 ლის ხარჯის რიგანათ მიცემის თავდებობი-
 სთვის გირაოს მაგიერათ მიიღება სოფლის სა-

ზოგადოების, თემის, გადაწყვეტილება იმოდენ
 ფულის ჯამისა, რამდენი სულიც სოფლის
 მრთელ საზოგადოებაშია, თითო სულზე სამ-
 სამი მანეთის ანგარიშით და სათითაო გლეხის
 თავდებობაში კი იმდენათ, რამდენიც თავდე-
 ბობაში იკისრებს, სულზე ხუთი მანეთის ანგა-
 რიშით. ამას შემდეგ ამ გარის სოფლის თე-
 მის გარდაწყვეტილობის, ან თავდებობის მი-
 ლების შემდეგ გირაოს მაგიერათა, სხვა გადა-
 წყვეტილობა, თემისა ან თავდებობა თითო
 გლეხისა აღარ მიიღება სხვა შემოსავლიანი
 ადგილებისათვის. 3) სახელმწიფო ქონების მი-
 ნისტრს უფლება აქვს შემოხსენებულ სიზორი-
 სა, შემოსავლის ზომისა და თავდებობის ზო-
 მისა გარდა, რომ გლეხების თხოვნითა და
 ადგილობრივ სახელმწიფო ქონების მმართვე-
 ლთა წარდგინითა მიეცეს გლეხებს შემო-
 საღლიანი ადგილები იმ შემთხვევაში, როდენ-
 საც საკუთარი შესაწყნარებელი მიზნები იქ-
 ნება და როდესაც ქირის შეტანა საეჭვო არ
 იქნება. 4) შემოხსენებული (მუხლი 1 და 2)
 სოფლის თემის გარდაწყვეტილება უნდა შე-
 სდგეს ორის ნაწილის ჭარბობით ერთ ნაწი-
 ლზე სოფლის სახლკარის მეპატრონეთაგან,
 რომელთაც თემის კრებაში (ერობაში) ხმა

აქვთ და უნდა მოხდებოდეს იმ წესით, რო
 გორც მოხსენებულა წესდებაში თებერლის
 19 ისა 1861 წლისაში. ეს გადაწყვეტილება
 და სათითაო თავდებობა შემოწმებული უნდა
 იყოს სოფლის საზოგადოების სასამართლო-
 საგან, რომ ნამდვილი გარდაწყვეტილება ისა
 და კანონიერათ აღსრულებულა და უნდა
 იყოს შეტანილი წიგნში, რომელიც სასამართ-
 ლოშია შეკრულობისა და შეპირების წერი-
 ლებისათვის. 5) ნამდვილი გარდაწყვეტილება
 სოფლების თემებისა და თავდებობაცა უბრა-
 ლო ქალაღზე უნდა იყოს დაწერილი და
 უნდა შეიტანებოდეს ადგილობრივ სახელმწი-
 ფო ქონების სამმართველოში მანამდის, ვი-
 დრე იმის შეკრულობის ვადა გავიდოდეს;
 ამას შემდეგ, უნდა დაუბრუნდეს ეს შეკრუ-
 ლობები ზედ წარწერით სოფლის სასამართ-
 ლოსა, რომელსაც არ შეუძლია მანამდის
 ადგილების ასაღებათ ან ხანისათან საქმისა-
 თვის, სხვა გარდაწყვეტილება თემისა ან თავ-
 დებობა შეიტანოს ზიმოხსენებულ (მუხლი 4)
 წიგნებში. ხელმწიფე იმპერატორმა უმთა-
 ვრეს კომიტეტის ჟურნალზე, 23 იანვარს 1868
 წელსა საკუთარის ხელით ინება ხელის მოწე-
 რა: „აღსრულდე“.

რუსის ცხოვრებლგან

მართი სახელ განთქმული რუსის მწერალი,
 იაკუშკინი, მგზავრობს ხოლმე რუსეთის სო-
 ფლებში იმ აზრით, რომ აღმოხატოს დაბალი
 ხალხის ცხოვრება და იმის ვითარება. მზის
 ჩასვლისას იაკუშკინი ერთი სოფლის მახლო-
 ბლათ ელაპარაკება რუსის გლეხს და პატარა
 ყმაწვილს, რომელიც შკოლიდგან შინ მიმა-
 ვალა, შემთხვევით შეპყრია იაკუშკინსა და და-
 უწყია თავის სწავლაზე ლაპარაკი. მანსაკუ-
 თრებით შესანიშნავია გლეხის ლაპარაკი, რო-
 მელშიაც ნათლად იხატება რუსის გლეხ-კა-
 ცობის აზრი თავის უფროსებზე და მოხელე-
 ებზე.

რასაც მთელი სოფელი იტყვის, იმას ვერ გა-
 დაუვა, ჩვენ ბატონები ვიქნებით და ის ჩვენ-
 ნი მოსამსახურეოა. მოხუცებულებმა იცინეს,
 იცინეს და ბოლოს ასე გადასჭრეს. . . .
 „ეჰ, იყოს მანო მამასახლისათაო. მთელი სო-
 ფელი დათანხმდა და მანო მამასახლისათ შე-
 იქნა. იცი ძმობილო რა ქმნა იმ მანო სილა-
 გინმა.

— აგრეთი მამასახლისი რათ ამოიჩინეთ?—
 მე ვითხებ.
 — მინ ეშმაკმა იცოდა, რომ აგრეთი გა-
 მოვიდოდა.
 ადგილი და გამოთხოვების დროს ვუთხარი-
 გმადლობ, ძმობილო, რომ შემაქციე მეტიქი.
 — ზაგამარჯოსო!—იმან მიპასუხა.
 — მშვიდობით.
 მე ისევ ჩემ გზას დავადექი: იმ გლეხმა კა-
 ცმა სწორეთ მართალი სიტყვა: სწორეთ ყვე-
 ლას ყბები უნდა უღეწო, რომ ყაზახი (გლე-
 ხი კაცი) არაფერ დაგიძახოს, ვთქვი ჩემ გონება-
 ში,—ჩვენ მანოც ყოველთვის ამას ვცდილობთ;
 თუკი შეიძლება ვისიმე სილის გარტყევა,
 უტყველათ გაფარტყამთო—ამბობს იაკუშკინი.
 აი თუნდ თითონ მანო სილაგინი! წინათ
 ვინაც კი წაწეწოდა, ყველა თავში ურტყამდა,
 ახლა როცა დიდი ივენ პეტროვიჩი გახდა,
 ისიც ისე იქცევა! მინ გამატყუნებს!

— არ ვიცი, თქვენმა მშემ.—თქვენც ვგრე
 არა ხართ ხოლმე! ამოიჩინეთ დროს: გვეგონა,
 რომ კარგ კაცს ვირჩევთ, მაგრამ როცა ამო-
 ვარჩევთ... ისეთი საძაგელი რამ ვახდებთ, რომ...
 ლეკვების გამოჩენეც ხომ ვგრეთია.
 მთელი სოფელი არჩევს თავ-კაცს: არა
 უტყველათ მანო სილაგინი უნდა იყოს თავ-
 კაცათაო. ამ მანოსა ყველა თავში სცემს.
 როცა თავ-კაცთ გაიხდინან, მაშინ ხომ
 ხელს ვერაფერ ახლებს; სოფელიც რასაკვი-
 რელია გლეხის სახელსაც აღარ აკადრებს.
 რასაკვირველია, რომ მანო სილაგინისთანა
 კაცებს თავს გაუვათ და, როგორც სხვანი
 ექცეოდნენ, ისინიც ისეთ რიგათ მოიქცე-
 ვიან.

— ძმობილო, აი რას გეტყვი—უთხრა ია-
 კუშკინს გლეხმა, და გვერდით მოუჯ-
 და. აი რა ამბავია ახლა ჩვენში: მანოსის
 უფროსმა გამოგვიცხადა: ხალხი შეპყარენითო;
 მამასახლისი უნდა ამოიჩინოთო შევი-
 ყარენით და ვარჩიეთ, ვინ უნდა ყოფილიყო
 მამასახლისათ? მართმა ბერმა კაცმა სიტყვა: მო-
 დი პეტრე იყოსო; მეორე ამბობს, არა ისი-
 დორე დავაყენოთო . . . ამასობაში ვინამაც
 დაიყვირა: არც პეტრე, არც ისიდორე: მანო
 სილაგინი უნდა იყოსო ქინლაშ ყველანი
 სიცილით არ დაიხიციენ; სილაგინს არც ვზო-
 აქეს; ერთი ქოხი ჰქონდა, ისიც დაექცა; თავის
 დღემ ნამუშევარი არ მოუყვანია: ადგილს
 სხვას აძლევს; აიღებს ფულს, გაფანტავს და
 მერე სოფლის სამოწყალოთ რჩება!
 — აბა ის რა სამამასახლისო კაცია-მეთქი?
 — ღაიცა ყური დამიგდე!
 — მაშ საქმე რითი გაათავეთ?
 — აი რითი; მოხუცებულებმა ყოყმანი და-
 იწყეს, ის კი თავისას არ იშლიდა: არა, მანო
 სილაგინი ამოიჩინოთ და მანო სილაგინიო?
 — მინიცი, რათაო!—„აი რათაო? თუ ვი-
 ნმე შეძლებული ამოვარჩიეთ, ცემა-ტყუპას
 დავაწივებო. მანო სილაგინი რომ ამოვი-
 ჩიოთ, იმას მთელი სოფლის ხათრი ექნებაო,

— რაო, რა მოახდინა?
 — აბა როგორ გგონია?
 — ღმერთმანი, არ ვიცი.
 — აი რა ჰქმნა:
 — ზის ჩენი მანო თავის ქონში ფანჯა-
 რასთან. იმის ქოხის წინ ელაშაყ გაი-
 არა. როგორც მოგვხსენებდა, ქუდი მოუ-
 ხადა, თავი უნდა დაეკრა... „ბიჭო, ვი აქ მო-
 დი“—დაუყვირა მანომ გამვეღელსა. ბიჭმა
 ქუდი იღლიაში დაიჭირა, და ისე შევიდა
 მანოს ქონში. აჰ, შე, გლეხო უზრდელო
 ვიროვო... ვეჰ, სად დაგინახე! როცა ახლოს
 მოხვედი, მარტო მაშინ გაგახსენდა ქუდის
 მოხდა!... შენა გგონია, რომ შენი ტოლივარ!...
 განა არ იცი, რომ მე შენი უფროსი ვარო!...“
 ბაუშალა, ლეწა და ლეწა სიღებში!... ვთქვით:
 „ეგ არის, აი, რომ სოფლის პატივისცემა ექმ-
 ნებაო!... თუ კი მანო სილაგინს გლეხობა არ
 უნდა, მაშ გლეხობა კარგი არ ყოფილა! თუ
 საქმე გაქვს რამე, ტყუილა წინ ნუ გაუდელი:
 არაყი არაყათ იყოს, მეგობრობა მეგობრობათ;
 მაგრამ ფული კი სტოლზე დადე. შუღლითაც
 რომ მიხვიდე და ყბები არ შეგიღეწოს, ღმე-
 რთს მადლობა შესწირე!.. ღმერთს გვეციები
 ტყუილს არ ელაპარაკობდე... შენ უყურე
 როგორი სახლი დადგა!.. სასახლე გგვანება!...
 საიდამ იშოვენა?—ყველას ყბებს უღეწდა და
 იქიდგან. შეველა მიხვიდა, რომ მანო კი არა,
 დიდი ივენე პეტროვიჩი გახლავთ ჩენი უფ-
 როსიო. სილაგინიც ხომ აღარ დაირქვა, არა,
 რალაც კეთილშობილური გვარი მიიღო.

— სიტყვი და რომელი სჯობია?
 — ღმერთმანი, არ ვიცი.
 — მაინც?
 — სიტყვი ჩაფიქრდა.
 — სიტყვი და რომელი სჯობია?
 — ღმერთმანი, არ ვიცი.
 — მაინც?

— აბა რა გასაკვირიაო, — მიპასუხა.
 — როგორ?
 — იმ გლეხს მართალი უთქვამს.
 — რას ამბობ?
 — მე კიდევ უფრო კარგს გეტყვი.

„დროშის“ კორესპონდენცია.

მუთისი. ნათქვამია „ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო“. ამიტომაც არის, როგორც მოგვხსენებთ, რომ რა მაგისტანა ცუდი ჩვეულება იყოს, იმისი მოშლა ძლიერ უჭირს კაცს. მაგრამ, ისიც უნდა ვთქვათ, ძველ ჩვეულებებში ბევრი იგეთნი არიან, რომ იმათი მოშლა არ არის საჭირო, რადგან სრულიათ არ არიან საძრახისნი, მაგალითად, იმ ჩვეულების მოშლა, რომელზედაც მინდა ახლა მუსაფის დაწყება. ეს ჩვეულება არის ის, რომ შენ ნაცნობს, ან კარგ მეგობარს რომ შეხვდები სადმე, ჩემო მკითხველო, პირველად დაუწყებ ტაროსზე ლაპარაკს. მეც შენებრ მამაკვდავი კაცი ვახლავარ, ჩემო მკითხველო, და შენებრ მიჭირს ძველი ჩვეულების მოშლა. ამიტომაც ჩემი პირველი სიტყვა იქნება აქაურ ამინდზე (ტაროსზე).—

თითქმის მარტის დასაწყისიდან ბოლომდე ისე კარგი ტაროსები იყო, რომ ზოგიერთმა ხეხილმა და სამეურნეო ხეებმა ყვავილი გამოიხსნა. უკანასკნელ რიცხვებში მარტს თითქო გახსენდა თავის ვინაობა და ერთი თოვლი და ბუქი დაგვიშო; მაგრამ რადგანაც არ უყინავს, ნაყარ ყვავილებს ბევრი ვერა დააკლო რა. მარტო თუთა, ალუჩა და ზოგიერთი სხვა საადრო მცენარეები, როგორც აქ ამბობენ, მოსწვა (დაძრა). ლეინოს, ჩვენს პირველ და უკანასკნელ მანუგაშებელს, ვერა დააკლო ამ ადრებმა, რადგან ჯერ კვირტი არ ყოფილა ვაზზედ გამოსული. საზოგადოთ ჩვენში ლეინოს მოსავალი თან და თან კეთდება. ამბობენ, ვითომც ზემო იმერეთში იკლოვო ლეინომ, ასე რომ თუ იქითკენ გადავხეხი ამ ლეინოს სენმა, სწორეთ ცუდათ იქნება საქმე. მაგრამ „მომხტომს დამხვედრი უნდაო“ ხომ გაგიგონათ. ამ დარ-

— აბა, გეთყუა.
— ჩვენში ერთი ღატაკი გლეხი იყო; სალდათის მოკრეფის დრო მოვიდა, მოაეღეს ხელი და სალდათათ წაიყვანეს... უნდა გითხრა, რომ ძალიან მარჯვე კაცი იყო. ასეთი გაიძვირა რამ იყო, რომ წყალზე წაიყვანდა, არ დაგაღვივებდა, ისე მოგიყვანდა. რამდენიც წესი იყო, ემდენი იმსახურა და უნდურ აფიტრათ გახდა; ამან რომ თორმეტი წელიწადი იმსახუროს მერე, თუ კი წერა-კითხვა იცის აფიტრობასაც მისცემენ. რაკი აფიტრობა გაიკრა, პოლიკედან გამოვიდა და დამბეგათ დაგვიყენეს... უნდა იკითხო, რა საქმეს შერებოდა დამბეგობაში?—შენ როგორა გგონია... ჰა?
— რასა შერებოდა?
— აი რასა... ეს ამბავი ჩემ დროს იყო... სოფელი ხომ უმისოთ ვერ იცნობენ, თუ სადავო საქმე არა ატყდა რა. მერე დაიწყებენ, როგორც მოგვხსენება, ერთმანერთში ხსობს და დავიდარბას. საქმეს საჩივლელათ გახდია. შენ უნდა უყურო, რა ამბავი მოხდება? ტყუილათ კი არ არის ნათქვამი:—
— ღმერთო ხალხი წაჰკიდევო, უფროსები გაჰკიდევო... ჩვენ სოფელში წაიკიდა, ორი მეზობელი. როგორც მოგვხსენება, ჯერ წილს ჰყრიან, ცხენი ვისი უნდა შევებათ და ურები ვისი წავიღოთო. შეაბნენ ცხენს, ურებზე წაიდებულები დაჯდებიან და ერთმანეთს ზურგს შეაქციენ: ვითამც და ერთმანეთზე გაჯავრებულნი ვართო.
— ამ ლაპარაკზე გამეცინა.
— რა გაცინებთ... იცი, რა გითხრათ: მზაზე ვთქვათ ერთი თამბაქოს ამოიღებს, მოწვეა უნდა; ჰყრავს თავის მოდავეს ქისტა და ეტყვის: მოჩხუბარო თამბაქო არ გინდა. ხომ არ შეიძლება, რომ ერთმანეთს სახელი დაუძახონ?—არა... მოჩხუბარს თუ უნდა, გამოართმევს თამბაქოს და ჩუმათ წევას დაუწყებს. ხმას კი არა სცემს. ამ ნაირათ ეს მეზობლებიც მივიდნენ მდივანბეგთან. ძველამ

გებას იმათ კი ვაძლევთ, მაგრამ ერთი ისიც მკითხე, მკითხველო, ჩვენ იმერეთში როგორ დავხვდით; დავადეთ პირი და ვუყურეთ, როგორ გვიფუჭებოდა ჩვენი სიკაცობის ნუგეში და შეეჩიოდით ლმერთსა: „ეს ღვთის რისხვა არის ჩვენს თავზე და ამის გასასწორებლად უბედური, ცოდვიანი კაცი ვერას მოიგონებს“, თუმცა ამეც კაცმა მოიგონა საშუალებები, რომ ცოტათი მაინც შეამსუბუქოს ეს ყურძნის სენი.—

ამ ადრებში სწორეთ სულზედ მოგვესწრო სულისა და გულის გარდასაყოფებელი შემთხვევა. ამ წინა დღეებში აქ ჩამოვიდა ტფლისიდან უ. იაბლოჩინი თავის ტრუპით (თუ ხუთ კაცს ტრუპაა დერქმის) და წარმოადგინეს ჩამოდენი პატარა ვოდვილები და სცენები კომედიებიდან. სულ ხუთჯერ იყო წარმოდგენა.—არდგენდნენ ისე, როგორც არდგენენ ყოველთვის ის აქტიორები, რომელთაც სატახტო ქალაქებში ვერ იხიერეს და დიარებიან პროვინციების ქალაქებში. როგორც იყო ისევე უ. იაბლოჩინს და უ. მუზილს ეტყობოდათ, რომ სცენა უნახავთ. სხვები კი ღმერთმა შეინახოს.—

ვიცი მკითხველებს იამება აქაურ განათლებულ და განათლებულზედ რომ ორიოდ სიტყვა მოვახსენო. აქაური განათლების და განათლებულების ცენტრი უფრო მასწავლებლები ვახლავთ. მე დიდი ხანი არ არის, რაც აქ ვარ, მაგრამ როგორც შევატყუე და ჩამოდენათაც მოვასწარ გაცნობა, აქაური მასწავლებლები საზოგადოთ ვერ ვახლავან თქვენი მოსაწონი... ჩვენი გიმნაზია იმითია კიდევ დაბრკოლებული, რომ მასწავლებლები წამ და უწყუმ ეცელებათ: ზოგი სხვაგან გადადიან და ზოგს ითხოვენ სამსახურიდან.

როგორც მოგვხსენებთ ამისთანა დამბრ-

იცოდა, რომ დიამბეგი ცხარი კაცი იყო. მივა თუ არა მოჩივარი გლეხი, მაშინვე წვერში წააღებს ხელს და სწევას რამდენიც ძალი და ღონე აქვს.

მაჩხუბრები მივიდნენ თუ არა, დიამბეგის მწერალმა ჰკითხა: რა გინდათო.

ასე და ასე ვახლავთ ჩვენი საქმეო—დიამბეგთან მოვედით საჩივლელათო.

იმავ წამს მწერალს ხელში აძლევენ: ერთი ხუთ შაურს, მეორე ათ შაურს. რომელიც ათშაურს აძლევს, იმას პირველ შეიყვანს დიამბეგთან.

შევიდა ათი შაურის მიმცემი. დიამბეგმა ერთი ორი სილა სტყიკა და მერე კითხვა დაუწყო: რა გინდა, რისთვის მოსულხარო?

ზღვებმა იცის, როგორ უნდა მოიქცეს. ამოიღებს ერთმანეთს და სტოლზე დადებს.

— აბა, ახლა დაიწყე.—მუბნება მდივანბეგი.

— ეს ბატონო ასეთი საქმეა, რომ ჩემი მაჩხუბარი ციმბირს ვერ გადაურჩება.

— სტკვი და.

— ხეები ვიყიდე, შენი ჰირიმი. საქათმე მინდოდა გამეკეთებინა. ძველი აღარ ვარგოდა, ახალი უნდა ამეშენებინა... .

— საქმე თქვი და! ჩქარა.

ჩემი მეზობლის ქათმები ვადმოვიდნენ და ხეები წამიხდინეს, ისე რომ ხელში ასაღები აღარ არიან.

— ჰო, მაშ წადი.

ზღვები რომ გამოვიდა, მეორე იმის მაჩხუბარი შევიდა.

— მათმები რათ ვადაუშვიო შენი მეზობლისას—დაუყვირა დიამბეგმა, მივარდა და ცემა დაუწყო.

იმდენი სცემა, მანამდის არ მოსწყინდა; მერე გაავლო და თან ეს სიტყვები მიაყოლა:—წადი დაიკარგე, მანამ ცოცხალი ხარო.

ზღვები გამოვიდა და მწერალი შეხედა.

კოლებელი მოსწავლეთათვის არა არისრა. ამიტომ წლევანდელი კურსი ძლიერ სუსტი იქნებოდა, ამბობენ.—საზოგადოთ რომ ვთქვა, ახლანდელი ყმაწვილები (გიმნაზისტები) ბევრათ სჯობიან ოთხი, თუ ხუთი წლის წინათ ვინც იყვნენ, იმათ, როგორც კურსის გახსნილობით, ისე წინაგობითაც. ახლა უმეტესი სურვილი აქვთ ყმაწვილებს იმის შეტყობის, თუ როგორ ბრუნავს ქვეყანა და კიდევ ესმისთ, თუ რომელი გვერდით მობრუნება უკეთესი იქნება კაცობრიობისთვის.—ახლა უმეტესად და უფრო სარგებლიანათაც კითხულობენ, ვიდრე წინეთ, თუმცა ამბობენ ლათინურმა ენამ საქმე გავეჭირო.

ახლა ზოგი ახალ ჩვენ სასამართლოებზედ უნდა მოვახსენოთრამ. იმერლებს ცოტაარ იყოს ხანდისხან ტყუილ უბრალოდ ჩივილი უყვარსთ (მოწყინდებთ ზამთარში უსაქმობის გამო); ამასთან კიდევ ის რომ მიუმატოთ: აქ საზოგადოთ დიდი სამოსამართლო ოტდელებია (მაგ. მთელი ქალაქი და მთელი უფზი), მაშინ გასაგები იქნება ის ამბავი, რომ აქ მომრიგებელ მოსამართლეებს მოჩივრები, როგორც ჰიანჭველა, ისე ახვევით ხოლმე ყოველ დღეს. მართი ეს არის იმის მიზეზი, რომ არზის მიმცემს ახლა იბარებენ, საქმის გასარჩევათ, კი ორი და სამი თვის შემდეგ, რადგან ბევრ საქმეს შეუყურია თავი.

თუმცა ამ ახალ სასამართლოებში ძალიან მალე წყდება საქმეები, მაგრამ ბევრი საქმეების გამო მაინც დაბრკოლებულია აქეთ.

ამასთანავე ძველი საქმეებიც გარდასცეს მომრიგებელ მოსამართლეებს და ვეცე აგვიანებს საქმეს. რასაკვირველია უწინდელ სულს ბევრათ სჯობია ახლანდელი; განსაკუთრებით საქმის ჩქარი წარმოებით ამას ყველა კარგათ უყურებს. იმედია როცა, როგორც ამბობენ, მომრიგებელ მოსამართლეებს მოგვიმატებენ,

— რაო—ჰკითხა მწერალმა,—როგორ გათავდა შენი საქმე?

— მჰ რა გათავდა!—მე კი ჩემი დამმართა და. . . .

— როგორ?

— მცემა და პასუხიც არა მაღირსარა.

— მე, ეგ ვერ მოგსვლია კარგათ.

— მანა მეკი არ ვიცი?

— ღიცა მე თვითონ შევალ.

მწერალი მდივანბეგთან შევიდა.

— როგორ არ უნდა ეცემა. შენმა მეზობელმა ერთი მანეთი მისცა, აბა, შენ რა მიეცეო?—უთხრა მწერალმა.

— თუ ეგრეა, მე ორს მიეცემ.

— მისცემ და ორ მანეთის ტოლათ სცემს შენს მეზობელსა: მაგაში ჩვენი ბატონი მარჯვეა, სიმართლე უყვარს.

— აბა როგორ უნდა მივართვა.

— შედი და მიართვი.

ზღვები შევიდა მდივანბეგთან და ორი მანეთი მისცა. მდივანბეგმა მაშინვე დაუძახა პირველ მეზობელს და ორი მანეთისა სცემა.

— ეს როგორ არისო, როცა გამოვიდა, დაუწყო მწერალს ლაპარაკი. მართი მანეთი მივეცი და მადლობის მაგიერათ, ჩემ მეზობელზე კიდევ უფრო მწარედ მე მცემო.

— მერეა ჩემო ძმაო. იმ შენმა მეზობელმა ორი მანეთი მისცა.

მაშ მე სამს მიეცემ.

— მისცემ და იმ შენს მეზობელს გასწევას ისე, რომ სამ მანეთად ღირდეს.

რასაკვირველია ამან მიართვა სამი მანეთი და, რადგან მდივანბეგი სამართლიანი კაცი იყო, სამი მანეთისა სცემა.

ძველი საქმეებიდან განთავისუფლებულნი და ჩვენი ხალხი ტყუილ უბრალოთ ჩივილს გარდაეჩვევა, მაშინ საქმეებსაც კიდევ უფრო მალე მიეცემათ დასასრული.—

ამ ორი კვირის წინეთ ერთი პ. საქმეზედ ძლიერ დიდი დავიდარბა იყო აქ. საქმე მდგომარეობს იმაში, რომ აზნაურმა პ. შეგინებისათვის სილა გაართვა გლეხს (მაგრამ მოსამსახურე კაცს). იმან იჩივლა. შალაქის მომრიგებელ მოსამართლემ გარდაუწყვიტა უ. პ. სამი თვის საპრობილეში დამწყვედევა. ამით კეთილშობილების სისხლი აირია და ჩაირია „რა ქვია, ვის ქვიაო, ლაღადებდა ერთი კეთილშობილი კაცი,—გაქუცულ ყაძახს ყაში რომ აზნაურმა შემოართყას, რა უყოთ მერმეო.“—მეილაწ, სუნთლა არ გაესწორა: გლეხკაცთანო, ყვიროდა მეორე ჩვენ ბულვარში,—ყაძახმა მომთხაროს გინებით და მე ისე უყურო?! ნეტაი მე,—რად მიჭირს?! მილაცამ უთხრა: იმ კაცმა რომ შევაინა, უნდა ეჩივლო პ. და მაშინ იმ კაცს დასჯიდნო და თავის ხელით სამართლის გაჩენა კი არ შეიძლებაო. ძეთილშობილი გაჯავრდა: „რავა მოვითმენ მაგას, რავა? მისი გული ხომ არა მაქვს! ყაძახმა რომ შემეგინოს, იქვე მოველავე, თუ საციმიბროთ გახვდე მამწამს!...“ მომრიგებელ მოსამართლეს გარდაუწყვეტილობაზედ აპველა ცილა მისცა ოტქის სასამართლოში, რომელმაც მოუკლო საპრობილის ბორჯი სამი თვე—ნახევრად... რაც უნდა ძლიერ იჯავროს აზნაურობამ, სამართალი მაინც ყველასთვის ერთია.

თუ ის კაცი მართალია, აზნაურობა ვერ მოეხმარება და არც უნდა მოეხმაროს. ძანონი არ არჩევს გლეხს და აზნაურს. ძანონის წინაშე ყველა სწორია.

ჩვენ ქალბატონებსაც კიდევ აქეთ ეხლა სალაპარაკო და გულის გარდასაყოფებე-

თქვენ, ეი, ეშმაკის შეილება? ორივე აქმოღოთ. მოჩივრები წარსდგენ იმის წინ.

ორივეს როზგითა გცემთო, თუ არ შერიგებულხართო.

მე...მე, შენი ჰირიმი, თანახმა ვახლავარ... არ ვიცი ივანე რას იტყვის ამაზე.

— აბა, შენც თანახმა ხარ?

— რა, თუ ალექსის შერიგება ჰსურს, მეც თანახმა ვახლავარო.

— აბა ახლა მადლობა მითხარით კარგი სამართლისათვის. იმათ თავი დაუტყრეს.

— ძარგათ ვაგასამართლეთ თუ არა?

— ძარგათ, შენი ჰირიმი.—ჰკუა გვასწავლეთ და ეგ იყო.

აი, ხომ ხედავთ—მელტქემ, მითხრა,—რომ არ ეცემა, აბა რა გამოვიდოდა. ახლა თითო ოროლო თუმანი დაეხარჯათ და საქმე ამით გათავდა. სასამართლოებში რომ წასულიყვნენ, მერწმუნე, მეტი დაეხარჯებოდათ! იმიტომაც ჩვენი გლეხკაცობა იმ მდივანბეგს უფრო პატივსა სცემს და უფროც უყვარს.

— მგონია მასხარობით. თქვენ ეს მითხარით, გლეხკაცობამ რისთვის უნდა სცეს პატივი მაგისტანა მდივანბეგსა.

— მამგისთვის, აი!

— საკვირველია.

— აი, რას გეტყვით.

— ახლა, ამ ქაშათ, გვეყავს ერთი ისპრაენიკი: ძალევი წაიკიდებინა და წაიღენ ხოლმე იმასთან საჩივლელათ. ის დაუწყებს ხოლმე იმათ გასამართლებას; როგორაო და რათაო?.. შალის ამბავი ხომ მოგვხსენებთ, ერთი რომ დაიწყებს, მეორე პირში ეჩრება და ლაპარაკს არ აკლის. ასეთს ყვირილს და აღიანქრათს ასტეხენ, რომ ცოტა დააკლდებოდა ხოლმე ხელდახველ შეტაკებასა. ისპრაენიკი ყურს უგდებს და ბოლოს ასე ეუბნება: „აბა შერიგდითო!“—თუ კი შერიგება სდომებოდა, იმასთან რაღათ მივიდოდა. თანაერთ სახლო-შევი მორიგდებოდნენ და საქმე ამითი გათავდებოდა... იცი რა გითხრა? ეგრე მშვიდობიანათ რომ იქცევა, იმიტომაც არავინ სცემს პატივსა.

— როგორ, არ უყვართ?

— ღსკინიან კიდევ და... .

აქედან რომ გამოვიდო, წაველ ჩემ მასპინძლისას, ვაზშიმი ვსტამე და დაეწვიკი. არ დამეძინა; სულ ის მაგონდებოდა: ეს როგორ არის: ვთქვათ ახლა მე დიდი ღენერალი ვარ, განა პოლიკენიკს უნდა ვსცემო? კანონით პოლიკენიკი ხომ ცემისგან განთავისუფლებულია მეტიკი. ღმერთო ეს გამაგებინე... არ მესმის, არ მესმის...

— მჰ, დავილალო, —მდივანბეგმა დაიყვირა.

ლი. მე მოგახსენებთ იმაზე რომ, აქ ერთმა ქალმა, როგორც ამბობენ, ვეღარ გაუძლო ქრმის ცემა-ტყეპას და ბოროტ კაცობას და გმოექცა. მხლა ქმარი სჩივის, რომ ცოლი გამექცა და ისევ ჩამაბარეთო. ცოლი ამბობს, თავს მოვიკლავ და მაგასთან არ დავდგებიო.

მე რომ არ მოგახსენოთ, თქვენც კარგათ გაიგებთ ჩემო მკითხველო, როგორ უნდა ამდერეულიყო ჩვენი ქალების კეთილ-შობილი სსხლი და მათი ზნეობით გრძნობა.—
ლ აზარე მესის-შვილი.

მუთათისი
1868 წ. 19 თებერვალი.

პოლიტიკა.

ანგლია.

სახელმწიფო სარწმუნოება ირლანდიაში. მოგვქვს ქვემოხსენებული წიგნი ლუი-ბლანისა ლონდონიდან, აპრილის 1-იდან (მარტის 20), სახელმწიფო ეკლესიაზე განსჯისა გამო, რომელიც საზოგადოებათ პალატაში იყო: „ამ უკანასკნელ ორის დღის განმავლობაში დიდ საქმეზე სწარმოებდა ლაპარაკი საზოგადოებათ პალატაში და საზოგადოება მოუთმენელათ ელის რით გათავდება სჯა. საქმე იმაზეა დარჩება პროტესტანტის ეკლესია ირლანდიაში სახელმწიფო ეკლესიათა, თუ არა? ამ საქმის დაბოლოებაზე, როგორც ეტყობა, ეხლანდელის მინისტრობის დარჩენა დამოკიდებული, და ეს არის სხვა მიზეზი, რომ საზოგადოებამ დიდი ყურადღება მიაქციოს პარლამენტის ბაასსა და ბრძოლასა. მსპოზიცი (წინააღმდეგი მხარე) არ ეხება სათვითაო ადგილ მამულის პატრონობის უფლებასა და „მოპოვებულ ინტერესსა“, მაგრამ ზღადატონის წინააღმდეგობით, გადაწყვეტითა თხოულობს, რომ ირლანდიაში დაწესებულ ეკლესიას სახელმწიფო თვისება ჩამოეცალოს. აქამდის ბეჯითათ ვერ იტყვის კაცი, მმართველობა იმაზე რას ამბობს. ზუშინ წინ უცხო ქვეყნების საქმეთ მინისტრმა, ლორდმა სტენლიმ თავისის წარმოთქმულის სიტყვით, რომლითაც ყველანი გააკვირვა სიბნელისა და ცარიელობისაგამო, გამოაჩინა, რომ თანხმობა, რომ პროტესტანტის ეკლესიის გარემოება ირლანდიაში კარგათ უნდა შეიცვალოსო, მაგრამ გამოსთქვა ჰაზრი, რომ მომავალ ახლათ შედგენილ პარლამენტს მიენდოს ამ საქმის გადაწყვეტაო, რომ ჩამოეცალოს სახელმწიფო ეკლესიის თვისება პროტესტანტის ეკლესიასა თუა არა, და აგრეთვე საეკლესიო მამულებიცაო. ზუშინ შინა საქმეთ მინისტრი უ. ჰატორნ ჰადრი კვირცხლის და ფიცხის სიტყვით უარს ამბობდა ყოველსავე იმეზე ამ საქმის გათავებაზე და თუ ლორდს სტენლისაებ გამოსთქვა ცეკლილების საქიროება, მაგრამ იმ ჰაზრით, რომ უფრო დამყარდეს წესიანობა, რომელსედაც ოპოზიცი წინააღმდეგობს. თავის დღეში ესეთი უთანხმოება არ მოხდარა ერთისა და იმავე მმართველობის, ორ წევრებში: ჰარის სიტყვა სტენლისასსრულებით წინააღმდეგება. ლორდ სტენლიმ გააკვირვა ტარიები (*) თავის სიტყვის არულობით და სიბნელით. ჰარდიმ პირიქით მკვერმეტყველობით სიფიცხე აღმოაჩინა. მს ცხადია, რადგანაც ჰარდი ნამდვილი სისხლით ტარია და თავის როლს ასრულებდა; სტენლი კი ტარიობაში ლიბერლობასაც შეურევს ხოლმე და ამისთვის თავის როლს ისე კარგათ არ ასრულებდა. რაც უნდა იყოს ცხლა ცხადია, რომ მმართველობის წევრებში ერთ-მანხროვნება არ არის და ყველა თავის თავს

უნებურათ ჰკითხავს, ღირსაელი, პირველი მინისტრი, რომელ უკიდურეს მხარეს მიიქცევა, რადგანაც უფ. ღირსაელი უკედურესს მხარეებისაკენ იცის ხოლმე მიქცევა, რომ თანხმობა მოახდინოს თავის მმართველობაში. ამ რამდენისამე დღის წინათ გრაფ ლარმუტთან მიწერილის წიგნით ღირსაელი ეკლესიას მოუწოდებდა აღსაქურველათ კეთილმორწმუნეობის შეძრწუნებით, მაგრამ ფარისევლურათ, რომ ოპოზიცი დააშინოს, მოიხმობდა ძველის წერის დაცვას, ეკლესიისა და სახელმწიფოს შეკავშირების თეორიასა. თავი ისე გამოიჩინა თითქოს დარწმუნებულთაო, რომ ირლანდიაში დაწესებულ ეკლესიაზე ზედ დაცემას იმ აზრით ჩადიანო, რომ ანგლიაშიაც დასცენ სახელმწიფო ეკლესია. ღირსაელს რომ მოუხმინოს კაცმა, ასე იგონება, რომ ლიბერალური პარტიის ზედ დაცემა მიაწყდა ირლანდიის სახელმწიფო ეკლესიაზე. ამაზე უსვი-ნიდისო საქციელი ძნელი მოსაფიქრებელია, ამაზე გადასხვაფერება ფაქტისა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ. მსპოზიციის მხრით არც ერთი არ წარმოთქმულა ანგლიის ეკლესიის შემამოფოთებელი. უფ. ზღადატონს და იმის პარტიას ფიქრათაც არ მოსვლია ეწინააღმდეგვას პროტესტანტის ეკლესიის უფლობაზე პროტესტანტების ქვეყანაში, ანგლიაში, მაგრამ ისინი შეუსაბამოთ ხედვენ პროტესტანტის ეკლესიის პრივილეგიას კათოლიკეთ ქვეყანაში, ირლანდიაში, ისინი არ ეწინააღმდეგებიან სახელმწიფოსა და ეკლესიის კავშირსა (ამაზე ვრცლათ მომიხდება ლაპარაკი), ისინი ეწინააღმდეგებიან ამისთანა დაწყობილებას იმისთანა ქვეყანაში, სადაც ეს საქმე ძალიან უფუნურობასა ჰგავს. პროტესტანტები ძლიერს შეადგენენ ირლანდიის მცხოვრებლების მე-შიდე ნაწილს; გკითხავთ, სამართალია და კეთილგონიერობაა, რომ ხალხის ამ უმცირეს ნაწილის ეკლესიასა ჰქონდეს მფლობელობითი მდგომარეობა, პრივილეგიები და უფლება მფარველობითის მდიდარის ეკლესიის იმ ქვეყანაში, სადაც ეს ეკლესია დამყარდა ძალიან ძალათა და იმისთანა ქვეყანაში, სადაც ხალხის სარწმუნოება პროტესტანტობის წინააღმდეგია? და ამ წინააღმდეგი წესის მალე გადაწყვეტა უფრო საქიროთ მაშინ წარმოვიდგებათ, როცა ეხლანდელ უსამართლობებს ძველათ მოხდენილ ბოროტებას და უმატებთ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ რაკი ირლანდიის ეკლესიის საქმეს შევხებით, არ შეგვიძლიან დავიფრყოთ ის ღონისძიება, რომელსაც ადრე ხმარობდნენ ირლანდიელების პროტესტანტათ მოქცევაზე; ეს ღონისძიება იყო შემდეგი: მამულების ჩამორთმევა, ძალდატანება, მტაცებლობა. მმართველობამ ხელი შეახო კათოლიკის ეკლესიების შემოსავალსა. ხალხი რომ მოძღვრათ აღიარებდა, ის მღვდლები გადაყენდეს. იმათ ადგილას ანგლიანელი ეპისკოპოზები დასვეს. როდესაც ესენი თავ თავის ეპარხიებში მივიდნენ და იქ პროტესტანტის მღვდლები არ დახედათ, მმართველობას უნდა გაეგზავნა იმდენი მღვდელი, რამდენიც საქირო იყო და რადგანაც ამათ სამწყსო არა ჰყენდათ, მოძღვრებს შემდეგ სამწყსოც უნდა გაეგზავნათ. ამ ახლო-ხანებში ერთს მიტინგს (შეკრებილებას) დავესწარი, სადაც ხალხს თავი მოეყარა. მს ამბავი იმ მიტინგში წარმოსთქვა ერთმა ორატორმა პროტესტანტმა, და არა კათოლიკმა, რომელსაც მეტის მეტი განრისხებით ხმა უკრთობდა. აქამდის ჩემს ყურებს არ დავიწყებია ხალხის ძაბილი shame, shame! (სირცხვილი, სირცხვილი!)

ამ კრებაში სულ პროტესტანტები იყვნენ და ეს ძაბილი მაშინ მოისმა, როდესაც ორატორმა წარმოუდგინა ადრინდელი სამძიმოდრო, რომ კათოლიკის მღვდელი მგლის თავით ფასობდა. მართალი უნდა ეთქვათ: ჩვენი დროების ანგლიელებს არა სჯერათ,

რომ ძველათ ამისთანა ჩაგერაში ყოფილიყონ ირლანდიელი. მაგრამ იმ ჟამად მომხდარს დანაშაულობას ჩაუნერგავს ბოროტება, რომელიც აქამდის მომდინარეობს. ზავილის დატრება და კიცხვა კარგია, მაგრამ ახლანდელის სამართლიანათ განხილვა უკეთესი იქნება. ბრაიტმა რომ წუხელის თქვა: ირლანდიის ეკლესიების შემოსავალი თორმეტი მილიონი გირვანქა სტერლინგია, როდესაც მრევლი ექვსასი ათასი პროტესტანტის მეტი არ იქნებაო. უნდა გავტყდეთ, რომ მღვდლები ძალიან უნდა სარგებლობდნენ ამ პატარა სამწყსოთი. ნუ თუ იმდონს მრევლს, რამდენიც ლივერპულისა და ზღაზგო ქალაქშია, სარწმუნოების წესის ასასრულებლათ სჭირია ორი არხივისკოპოსი და იმათი შესაფერი სასულიერო წოდება, რომელიც ასე მდიდრათ ცხოვრებს. რასაკვირველია, რომ ბევრი ამ სულიერ მამათაგანი ისე, კმაყოფილებით ცხოვრებს და სრულებით კი არას აკეთებს. 1861 წლის საქამერალიო აღწერაში ირლანდიაში 565 მრევლი ირიცხებოდა; თითო მრევლში ოც-ოც პროტესტანტის მეტი არა ყოფილა, ხოლო 199 მრევლში 93 ათას კათოლიკის მეტი არა ყოფილა, მაშინ როდესაც პროტესტანტის პატარები, რომელიც სამწყსო არ ჰყავდათ ათასიდან ხუთი ათას გირვანქა სტერლინგს იღებდნენ. ზემოთ მოხსენებული მიტინგი (კრება) ბრაიტონში მოხდა. ამ კრებაში უ. მასონმა სთქვა შემდეგი მაგალითი, რომლის უარი აქამდის არავის უთქვამს. 1858 წელს ღირსპატივსაცემი შილიამ ტუნგემპლუნკსტი, ტუამის ეპისკოპოსის ძმისწული თავისმა ბიძამ ძალმიგლანის რექტორათ დანიშნა და მიუჩინა ყოველწლივ სამოცი გირვანქა სტერლინგი შემოსავალი. რექტორი მთელი ექვსი წელიწადი იღებდა ამ ჯამაგირს და ამ ხნის განმავლობაში ერთ ჯვრაც არ აუსრულებია სამღვდელთა წესი, რადგან სამწყსოში ორი პროტესტანტის მეტი არ ყოფილა და იმათთვის საყდრის აშენება არავის გაუხდია საქიროთ! და ამ გვარი მაგალითები ათასობით მომხდარა, მაგრამ „მოპოვებული ინტერესის“ სიწმინდე, წმინდა ინტერესი სარწმუნოებისა, სამარადისო არსებობა სახელმწიფო ეკლესიისა შეკრულობის ძალით, რომელიც ანგლიასა და ირლანდიას შორის მომხდარა, პროტესტანტებს მომხრეთა შემწეობა, შიში, რომ სახელმწიფო სა და ეკლესიის კავშირს შეეხებო? რამდენ მშვენიერ რასმეს იტყვის კიდევ ამაზე უ. ღირსაელი იმას გარდა რაც უ. ჰარდიმ სთქვა.

შეხიტარია.

ქენეის კანტონში (მაზრაში) შენობის მუშა-ხელოსნების სახელოსნოების პატრონებმა მიუწერეს შემდეგი: „მუშა-ხელოსნებო! პირობის შეკერა, რომ არ იმუშაოთ თქვენთვისაც და ჩვენთვისაც საზიანოა; ჩვენს მხარეში მოახდენს აღლეებასა და ერთმანერთში უთანხმოებასა ადგებს. შევლასთვის უბედურება ესა და თქვენთვის რისხვასა ჰგავს. ჩვენ ვიყავით განა ამ პირობის შეკერის მიზეზი? არა; ეს მოახდინა ხალხთა შორის საზოგადოებამა. (ასსოციაციამა), რომელიც სახელოსნოთ პატრონებს და ხელოსნებს კანონებს უწერს. პატრონები ამაზე თავიანთ პროტესტს აცხადებენ. თქვენ, ქენეის მუშა ხელოსნებო, განა თქვენ უცხო ქვეყნელების ზრუნვა გეპირებათ, იმისთვის რაც კი სამართლიანათა თქვენის მხრით მოითხოვება ჩვენგანა? განა აქამდის უშუამავლოთ ჩვენთან არ მორიგებულხართ და ან ეხლა არ გვინდა მორიგება. განა და მართლა ჩვენში უთანხმოება უნდა მოხდეს და მწარე ნაყოფი დაინახოთ. თქვენ ინტერესს, ჩვენს ინტერესს რათ უდებთ წინააღმდეგავით? განა ჩვენ ერთი და ისევე ინტერესი არ გვეერთებს? რამდენი თქვენგანი მომავალს დროს სახელოს-

ნოს პატრონი უნდა გახდეს და რამდენი ხელი განი ამ მცირეს ხანში მუშა ხელოსანი ყოფილა. განა ჩვენ არ შეგვიძლია მოახსენოთ განრინება უთანხმოებისა რომელიც უცხო ქვეყნელებს შემოაქვთ. ხალხთა შორის საზოგადოებას ჩვენ ვმორდებით, მაგრამ თქვენ კი არა. სახელოსნოთ პატრონებს ჰსურსთ თქვენი მდგომარეობის გაუჩურობსობა. ზოგიერთს სახელოსნოებში სამუშაო ფასი მოუმატეთ კიდევ და მუშაობის დროც შევამოკლეთ 12 სათიდან 11-ზე. მოგვენდეთ, მუშაობას ნუ შესწყვეტთ და უცხო ქვეყნელთ დარიგებას ნუ მოისმენთ.“

ქენეისში ყოველთვის ევროპელების აგიტატორები იყრიებიან. შარშან აქ იყო შეკრებილება მშვიდობიანობის მოყვარეთა, წრეულს საზოგადო ყველა ხალხთა (ხალხთა შორის) საზოგადოება ლონდონის მუშა ხელოსნებისა. ზუშინ მარტის 11 (23-ს) ქენეის მცხოვრებნი ცოტათი შემოფოთდნენ. ამ წლის კი. ზამთრის შემდეგ დადგა სამძიმო დრო და გატირებდა. მოწყალეების გაცემა ღარიბებს ეწეოდა, მაგრამ მოწყალეობა ამისთანა შემთხვევაში არა ხდება რა. ეკლესიებში მოწყალეობაზე მკვერმეტყველური ქადაგებები იყო, ღარიბებისათვის კონცერტებსა მართავდნენ, შესაწევარ სივზე ხელს აწერდნენ; მაგრამ ამებმა დროებითი შემწეობა მისცა და საზოგადოების მოწყობილობის საქმე კი არა გადასწყვიტა რა. რასაკვირველია, არავინ არ იზაასებს, რომ სახელოსნოს პატრონებსა და მუშა ხელოსნებში ერთმანერთთან შეკრულობის დროს უფლება მართა პატრონებს არ ეკუთვნის და ყველას უნდა თავის უფლება ჰქონდეს სარჩოს მოპოებისა. მუშა ხელოსნებმა კედლებზე მიაკრეს ეს განცხადება: „1868 წ. იანვრის 7 (19)-სა მოხდენილ შეკრებილებაში ხუროთ მუშა-ხელოსნებისა გადაწყვეტილება დაიდგა სახელოსნოს უფროსებისათვის შეეტყობინებინათ, რომ შეკრულობის გამოცემა არის საქირო. მას აქეთ ორმა თვემ გაიარა და სახელოსნოების პატრონებისაგან პასუხი არ არის. მუშა-ხელოსნებმა წერილები გაგზავნეს პატრონებთან, რომ მოეკლპარაკნათ და ერთმანერთის თავებით მორიგებულოყენენ შეკრულობაზე. ამ წიგნების პასუხათ პატრონებისაგან შედგენილ კამისიამ, ისა თქვა რომ გადაწყვეტილის პასუხის მოცემის ღონისძიება არა აქეს და პატრონებმა მოლაპარაკება მუშა ხელოსნებთან სრულებით არ მოინდომეს, ამისათვის ხუროთ-ხელოსნებმა ხალხთა შორის კამიტეტს მიანდეს იმათის სახელით ემოქმედნა როგორც საქიროთ დაინახედა, შესდგა სამის კაცისაგან კამისია (მერმილიო, შეიერმანი და პაილლარი). ამ კამისიამ ევრასფრით ვერ მოახერხა, რომ სახელოსნოს პატრონებს იმათი საქმელი მოესმინათ და არც თავიანი გადაწყვეტილება შეატყობინეს კამისიისა. აქამდის საქმე თუ კარგათ არ მიდიოდა, რიგზე მაინც მიდიოდა. ამ პირველ ცდას შემდეგ მშვიდობიანათ ლაპარაკს თავი დაანებეს, მკვახეთ და იწყეს ლაპარაკი და მუქარება. (აქ არ შეილება არ მოვიხსენოთ, რომ თუმცა ამ უკანასკნელ დროს სიღარიბე ჩამოვარდა, მაგრამ საკვირველათ შემცირდა ყოველგვარი დანაშაულობა, ასე რომ მოსამართლენი გაკვირვებულან, რადგანაც გატირების დროს ყოველთვის და ყველგან დანაშაულობა უფრო განხორცილება ხოლმე). 11 (23) მარტს კედლებზე ეკრა დიდრონი განცხადებები, რომლისაც შინა-არსი კარგს არას გვიქადნის: „მუშა ხელოსნებო, ჩვენ ყოველივე ღონისძიება მოვიხმარეთ ბრძოლისა და უთანხმოების განრინებისათვის მაგრამ ბრძოლა უნდა მოხდეს. ბრძოლაზე უარს ნუ ვიტყვით და მხნეთ დავიჭიროთ საქმე. მაინცა და მაინც დიდხანს არ განგრძობდებო. შაბრიკების და ყველა ხელოსანთა მუშაობა, თქვენი ძმანი, ხუროთ ხელოსანი მუშები თავის სარჩენ სამუშაო ფასს ვერ

(*) ტარიები—არისტოკრატები, დიდკაცები ანგლიაში, სახელმწიფოს და ეკლესიის ძველის წესის მომხრენი, ხელმწიფოს კარის მომხრენი.

იღებენ. თუ თქვენი შემწეობა საჭირო იქნება, სახელოსნოთ პატრონების მოსადრეკათა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ შემწეობას არ მოგვაცლებთ. იცოდეთ, რომ სახელოსნო დღეს, 23 მარტს, თუ სახელოსნოთ პატრონებმა არა დაგვიტოვეს რა, მეშვიდე საათის ნახევარზე დაფის კერა იქნება თქვენ მოსაწოდებლად. ეს იქნება ნიშნად, რომ მუშახელოსნები საერთოდ შეიკრიბნენ მეცხრე საათზე. მუშახელოსნო! თუ უკანასკნელი ჩვენი ცდა კარგად აღსრულდა, დაბეჭდილი ფურცლებით გაცოდინებთ; თუ არა და, ნიშნის მოგვცემთ დაფის კერით. შეყრილობა უნდა იყვეს პარაბინერთ მიედანზე. მით პირობა! თანასწორობა! ხალხთა შორის მუშახელოსნოთ ასოციაციის (საზოგადოების) კამიტეტის სახელით ხელს ვაწერთ: მერმილიო, შეიერმანი, პილარი.—ამ განცხადებამ, დაფის დაკერამ და სხვამ, რასაკვირველია, ვაჭარი ხალხი დააშინა; სხვანი კი ყურადღებას აქცევდნენ. ენახათ ამ გვარის განცხადებისაგან რა გამოვა ამისთანა თავისუფალ ქვეყანაშია?... მართლაც ქალაქის მცველ ქანდარმს, რასაკვირველია, არ შეეძლო ხალხის დაშლა; ამ სთანავე ხალხს კანონი არ დაურღვევია, რადგანაც შევიცარიაში ყველას შეუძლიან შეკრებილობაში ყოფნა, დაფის დაკერა და მიედანზედ გამოხველა. მმართველობა ხალხის ქეთილ გონიერებას მიენდო და ხალხმაც ეს იმედი არ გაამტყუნა. დანიშნულს დროს დაფს დაჭრეს, შეიყარა 800—900—მდის სული მუშახელოსანი და სხვა მყოფები ხალხი, მიედანზედ სხვა და სხვა სიტყვები წარმოასტყვეს. მალაქში არც ცეცხლი, არც ქურდობა არ მომხდარა და არც ერთი ღუპანი არ დაკეტილა.

ტ ე ლ მ გ რ ა მ მ მ ბ ი.
ტფილისში მიღებული.

პეტერბურგში, 29 აპრილს. მათმა იმპერატორების დიდებულებამ იწება სარსკი სელოში წაბრძანება. მენაში რომ რუსის ელჩია, გრაფი სტაკელბერგი ელჩათვე პარიჟში დანიშნეს. შუ. ბენკელი პეტერბურგში გახვდა „პერას“ („Нера-дьяна“) სტუმს, ამ გახვთმა მიიღო პირველი გაფთხილება, იმისთვის რომ შესაძლებლათ გახდა მუშა ხალხის მტრული ურთიერთობა საკუთრების მექონე წოდებასთან, ზედ მიყოლით გავრცელებისათვის იმა აზრისა, რომ ახლანდელი საზოგადო დაწყობილობის წინააღმდეგ ბრძოლა აღიძრას და იმ განზრახვისათვის, რომ საზოგადოება აღრიონ?

დ რ მ ნ ი. (*)

ბანკრენთ დღენი შევებისა,
როს მზათ გეჟონდა სიამე,
დღენი სიტკბოებისა...
სეკლუტ მქონდა სია მე.
—
ახლა დრო შეიცვალა,
იქნა სხვა გვარ წესი;
ის სრულად მოიშალა,
ვის ქვრივა უთესია.
—
გაზაფხულის შრომებმა
იწვეს კვლავ მოფრენანი,

(*) საათნავს ლექსებდამ. საათნავს და ალავერდა იყენენ ერთ მიდროენი ტფილისის მომღერალნი საზანდრები. რედაქცია უმორჩილესათ სთხოვეს „დროების“ წამკითხველთა, თუ სადმე ვგულუბათ საათნავს ლექსები, რედაქციაში წარმოგზავნონ დასაბეჭდათ. საათნავს ლექსებს ის პატივისცემა მმართველს ჩვენგანა, რაც კი სახალხო ლექსებს და სიმღერებს ეკუთვნის.

მოლაღურთ, პოპოპებმა
შექმნეს უცხოლ სტენანი.
—
მნახათ ბოლოს რა იყოს,
რა გამოვა რისაგან;
თუ რომ ხმები გაიყოს—
მიქმნეთ წყლულნი მისაგან.
—
მაშინ დავკრათ
დამბლიბითა ხმოვანი,
სხვა რალა ექნათ?
მიწყით ოხვრა გლოვანი.
—
ალავერდა
დაღვრებით ვალულუნოთ;
ჩვენი სვედა
მას მწარეთ ვაზუზუნოთ.

ცხენი და პირი.
(ჭინესი).

ჩინის რელსებზედ, როგორც შურდული,
მირბის მაშინა ვაგონებითა; —
მირბის,—და აფრთხობს მრთელს არე-მარეს
სუნთქვით, ღრიალით, ხმაურობითა.
—
ამ დროს ეზოში, ღობესთან, ვ რი
და თეთრი ცხენი იდგნენ ერთათა;
პირი გულდასმით ბალახს ჰკვრებდა,
მაგრამ ცხენი კი იყო მწყურბრათა:
—
მან დაინახა მგზავრი მაშინა
და შეშინებთ იწყა კანკალი,
ამოიხრა და სთქვა ხმა მაღლა:
„მაი ცხენებო! ოჰ, თქვენი ბრალი!
—
„მეცავ, ჩემთვის რომ თვითონ ბუნებას
არ მოეცა ეს თეთრ ბალნით ტყავი,
მსლა უთუოდ გამათურებდა
მე სასაშიშო შესახადევი!

„რას მოგესწარით! უწყალო ბედი
ლაღას უბრებს ცხენების გვარსა;
თუმცა ცხენი ვარ, მაგრამ ეჭოთხულობ
შემდგომის წიგნში ჩვენს დახოცვასა.
—
მრთქლის მაშინა შეგვეცილება,
რა თქმა უნდა, რომ ჩვენ ის დავბოცავს;
დღის იქით სულ ყოველი კაცი
საჯდომათ ჩინის პირუტყუს მიმართავს.
—
„და რა გრძნობს კაცი, რომ უჩვენოთა
შეუძლიან მას კარგად ცხოვრება,—
მშვიდობით, მაშინ, თოვა და ქერო!
ქაცის მხრით ხელი ჩვენ აგვედებს!
—
„ბული კაცისა ქვასვით არის,—
ტყვილად ერთს ნამცეცს ის აღარ გეჟმევეს...
დმერთო, რალა ექნათ! დავიხოცებთო.
თავლებიდან რომ ის გამოგვადგებს!

„მერ მოგახერხებთ პარვას კაცივით,
არ შეგვიძლიან ვალის აღება;
მერც ლაქუს შევძლებთ კაც და ძალივით.
მკ, ღმერთო! ცხენებს ბოლო გვეღება!“
—
„აგრე მოსთქვამდა საწყალი ცხენი...
პირი კი ამ დროს ყურებს იბრუტდა,
და დამშვიდებით და სიტკბოებით
პოხიერ ბალახს გემოვნად ჰკვრებდა.
—
რა გაათავა, თავი აიღო,
მერმე ყრპივით ნელა დაიწყა:
„რა დემართვის ვირების გვარსა?
მე არ გავიტყვ ამ კითხვით თავსა:
—
„ისეც ვიცი, რომ ამაყ ცხენებსა
მოგელისთ დიდი უბედურება;
ჩვენს თაფბალს და მშვიდს ვირებსა
სულაც არა ფრის არ გვეფიქრება.
—
„რაც უნდა ბრძნული და ემშაკური
მაშინა კაცმა გამოიგონოს,—

ჩვენი უთუოდ უკუნისამდე
მან მშვენიერად უნდა გვარჩინოს.
—
„ბედი მის დღეში არ მოგვიძულებს:
მალდებულების ჩვენ ერთგული ვართ,—
ჩვენ ძველადანვე მამა პაპობით
წისქვილზედ ყოველდღე რიგზე დავდივართ.
—
„იქ დოლაბები ბრუნენ და პურს ჰჭევენ,
მისებენ ჩქარა ფეკლით ტომრებსა;
მიმაქვს საპალნე მე მუჟურესთან...
მერმე კაცები ჰყლაპვენ პურებსა.
—
„აგრე, ძველადან ბრძნულად ბუნებამ
დასდვა სამუდომო საჯული ამ გვარი,
და არაოდეს არ უნდა ვაჭკრეს
ამ ქვეყნიდამა ჩვენ ვირა-გვარი.“

ზნეობითი აზრი:

ჩაინდებს დრო განჭკრა ამ ქვეყნათ
და ამაყ ცხენს ჰხვდა შიშვილი ბელათ;
პირს კი ექნება მუდამ საქმელი
ქაცებისაგან თოვა და ქერი!
—
თომა პარგარეთელი.
21 ივლისს 1867 წ.

მ ის ა დ მ ი

ჩემის გიჟურის აზრების
დამატკობელი საგანო!
საქებად მონაკაზმების
მშვენიერებათაგანო!
—
დუქანში მყოფსა მარანში (*)
მიჭვრებდვ გაგვიცინება;
მიჯღვ საკუთარს მარანში,
მაშინ არ მომეწყინება.
—
რათვან წითელი ქართველსა
დარდს დაუკარგავს, მეფედ ჰხდის;
შესცინის ხრიკას სოველსა,
ახალახალსა ქვევრსა ჰხდის.
—
მწვადების ცეცხლზედ შიშინი
პირს უწყლიანებს, აჯავრებს;
ამხანაგთ მღერა, ღიღინი
მის ყურსა და გულს ახარებს.
—
თვით მსუქან ბეჭში მახვილსა,
ატარებს დაუდგომელად;
სერის ტულაში ღამაზ მოთლილსა,
სხებთათა მოსანდომელად.
—
პირველს სვამს, ქართველთ დმერთს ლოცავს;
მარდასცემს სტაქანს გვერდითა;
შემდგომ მსხდომთ თავსა დაუკარგს
და მივა ალავერდითა.
—
რა დღევეს, ერთს ორს მოჰყვება
სადღვრებლოებს რიგზედა;
არავინ დაავწყლებდა,
მენდვ, მას ქვევრის პირზედა.
—
ამ გვარის ღმინით ცისკრამდის
არ სწყინობს დროს გატარება;
ხშირად სომს ჯიხვით რვა ცხრამდის,
მთვრალთ მოყვასთ ემსახრება.
—
მე წინააღმდეგ ამისა
არცა ვსოპ, არც ვის ვაძლებ,
მადა წამართო ჰამისა,—
შევიფობას ვაბრალებ.
—
მაქვს ხორცი, პური და ღვინო,
აქ ესეც დასაჯერია;
მაგრამ არა მყავს თან N
და მისთვის სულ ოხვრია.—
—
მარანი ანუ მარანი.
22 სექტემბერს 1863 წელსა.

პ ა ტ ა რ ა მ შ ე ე ნ ი ე რ ი ს ა დ მ ი .
პატარა ვარდო, გაუშლელი, კუკურად ზიხარ,
მალდებელი განთიადის, ოხ.. საკოცნი ხარ.
ბედნიერ არის; ვინცა გეჭვრებს და შენზედ ჰფიქრობს,
მაგრამ თუ უნდა არ ეღიბას, სიკვდილი უჯობს.
როს გაიშლები და ფურცლები დაგიშვენება,
მე ნახი სახე კვლავ ას წილად გალაშობება,
და შენ რომ ვინმე სხვა ღამაში გულსა გილხენდეს,
იგი კი ყვესა დავგზავნავს, ვინც ამას სწყურდეს.
მისთვის გაფიცებ შენს სიწმინდეს მიმედებდე
და თუ გავყვადე, ყმაწვილობას მოიგონებდე.
—
მ. ზურგეთი.
1860-სა წელსა
ი ა ნ ვ ა რ ს .

სახაზინო განცხადება.

სამაზრო საინტენდენტო სამმართველო აცხადებს, რომ ლენკორანის უეზდის სასამართლოში ამ თვის გასულს 1868 წლისა მოხდებდა ვაჭრობა ზენირათ და დაბეჭდილ პაქეტებითაც, იჯარით გასაცემათ საპრაივანტო პურის და ფეკილისა, მაგაზინიდან წისქვილებზე წაღებით და უკანვე მიტანით სამის წლის ვადით.
პირობანი არიან ესენი:
1. წელიწადში ორი ათასი ჩეტვერის დაფქვა და იმის წაღება წისქვილებზე და უკანვე მოტანა იჯარადარმა უნდა იკისროს თავის ხარჯით, ისე რომ იქ მყოფს ჯარს პური არ დააკლდეს.
2. პირობით დადებული ფასი წისქვილზე წასაღებათ და დასაფქვათ უნდა ეძლიოს იჯარადარს მაგაზინის სმატრიტელისაგან ყოველთვეობით იმისგანვე მიცემულის ბარათისამებრ.
3. საიჯარო პირობების რიგინათ ასრულებისათვის, იჯარადარი ვალდებულია კანონიერი გიროა წარადგინოს. გიროა ნახევარი წლის საიჯარო ფასს უნდა უდრიდეს. (სოფელში მდებარე მამულს არ იყაბულებენ გიროათ).
დანარჩენს პირობებს და დაწერილების ცნობებს იჯარადარი შეიტყობს ლენკორანის უეზდის სასამართლოში.
ზანცხადება უნდა იყოს დაწერილი ერთ აბაზიან ღერბის ქალაღზე.

საბილიოგრაფიო ცნობა.

საკითხავი წიგნი

მოსწავლე ყმაწვილებისთვის
ი. მოგებაშვილისგან შედგენილი, მომავალთვეში გამოვა ბეჭდვიდგან.
წიგნს შეადგენენ სხვა და სხვა გვარის სტატიები: ბოტანიკური, ზოოლოგიური, ანთროპოლოგიური, ფიზიკური და გეოგრაფიული საზოგადო გეოგრაფიის ცნობის შემდეგ დაბეჭდილი იქნება საქართველოს მოკლე გეოგრაფია. წიგნი გათავდება საყმაწვილო ლექსების კრებით და სიფრცით იქნება ათი თაბახი, ან ცოტა მეტი, თაბახის 12-⁰ ტანისა.

ტფილისში ბერენშტამის, ალადათოვის და მნთაჯიანის მაგაზინში, აგრეთვე მელქონის სტამბაში ისყიდება:
ვეფხვის-ტყაოსანი
შასი ათი შაური.